საქართველოს კულტურის მინისტრის

ბრძანება №05/79

2026 წლის 24 ივლისი

ქ. თბილისი

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – მწერალთა სახლის სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოების დამტკიცების შესახებ

„სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2022 წლის 14 დეკემბრის №572 დადგენილებით დამტკიცებული „აღმასრულებელი ხელისუფლების, ზოგიერთი საჯარო დაწესებულების ემბლემის გამოსახვის წესის“ და „საქართველოს კულტურის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2025 წლის 29 აპრილის №131 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

დამტკიცდეს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – მწერალთა სახლის სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოები:

ა) ოფიციალური კორესპონდენციის/წერილის ბლანკი (ქართული ვერსია), ამ ბრძანების დანართი №1-ის შესაბამისად;

ბ) ოფიციალური კორესპონდენციის/წერილის ბლანკი (ინგლისური ვერსია), ამ ბრძანების დანართი №2-ის შესაბამისად;

გ) ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბლანკი, ამ ბრძანების დანართი №3-ის შესაბამისად.

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს კულტურის მინისტრი **თინათინ რუხაძე**

სსიპ - მწერალთა სახლი

ივანე მაჩაბლის ქ. 13
0108 თბილისი, საქართველო
+995 32 297 41 01
info@writershouse.ge

LEPL - WRITERS' HOUSE OF GEORGIA

Ivane Machabeli St. 13
0108 Tbilisi, Georgia
+995 32 297 41 01
info@writershouse.ge

 სსიპ - მწერალთა სახლი